საინფორმაციო ბროშურა

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“

RCT/EMPATHY

Tbilisi

2004

წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია"

ვინ ვართ

წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია" არის არასამთავრობო, პროფესიული, დამოუკიდებელი ორგანიზაცია რომელიც უწევს სამედიცინო და ფსიქო – სოციალურ დახმარებას წამების მსხვერპლებს და მათი ოჯახის წევრებს. განსაკუთერებულ როლს ასრულებს საქართველოში წამების პრევენციისა და აღკვეთის საქმეში. საჭიროების შემთხვევაში გასცემს მიუკერძოებელ სამედიცინო – საექსპერტო დასკვნებს.

ცენტრი "ემპათია" დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავე დროს არის აკრედიტირებული წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოში, არის რეაბილიტაციის ცენტრების ევროპული ქსელის აქტიური მონაწილე.

მარიამ ჯიშკარიანის პრეზენტაცია ფსიქიატრიის XII მსოფლიო კონგრესზე, იოკოჰამა 2002 წ.

პარტნიორული ურთიერთობა აქვს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოსთან, კერძოდ "სტამბულის პროტოკოლის განხორციელების პროექტში" საქართველოში არის ძირითადი პარტნიორი ორგანიზაცია.

პარტნიორული ურთიერთობა აქვს "ციხის საერთაშორისო რეფორმასთან".

თანამშრომლობს მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციასთან, კერძოდ სამეცნიერო სექციასთან "წამების ფსიქოლოგიური შედეგები და აღკვეთა", ცენტრის პრეზიდენტი არის საერთაშორისო ექსპერტი, აღნიშნული სექციის წევრი.

ასევე ცენტრი "ემპათია" მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანოზაციებთან ასევე საზოგადოების წევრებთან და მას – მედიასთან.

ცენტრი "ემპათია" არის პირველი სამედიცინო ორგანიზაცია, რომელმაც 1999 წელს შეაღწია ციხეთა სისტემაში და მას შემდეგ წარმატებით მოღვაწეობს ამ სფეროში, რაც ნოვატორული მოღვაწეობაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სივრცესა თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – ვახდენთ წამების მსხვერპლთა გამოვლენას, იდენტიფიცირებას და დახმარებას ციხეების სისტემაში, ჩვენ აგრეთვე ვემსახურებით წამების მსხვერპლებს გალის ზონაში და პანკისის ხეობაში; ცენტრში საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად ხორციელდება წამების ფაქტების პროფესიული სამედიცინო დოკუმენტირება.

ჩვენი მისია:

ჩვენს ძირითად მისიას შეადგენს სამედიცინო და ფსიქო – სოციალური დახმარება აღმოვუჩინოთ ადამიანს, რომელიც არის წამების მსხვერპლი გაეროს კონვენციის "წამებისა და სხვა სასტიკი, ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ" I მუხლის შესაბაქმისად: დევნილები და თავშესაფრის მაძიებელნი – წამების მსხვერპლნი; ასევე პატიმრები და ყოფილი პატიმრები; სახელმწიფო რეპრესიების მსხვერპლნი თუ სხვა; ასევე ვეხმარებით მათი ოჯახის წევრებს.

მთავარი მიზანი - წამების აღკვეთა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია და დახმარება ხორციელდება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტით:

1. წამების მსხვერპლთა გამოვლენა და იდენტიფიცირება.
2. წამების ფაქტების პროფესიული დოკუმენტირება საერთაშორისო სტანდარტებით.
3. წამების მსხვერპლთა სამედიცინო და ფსიქო – სოციალური რეაბილიტაცია და იურიდიული დახმარება.
4. წამების პრევენცია - სპეციალური ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება, წამების საწინააღმდეგოდ საზოგადოების მობილიზაცია, წამების საწინააღმდეგო კომპანიები და ყოველგვარი, კანონით დაშვებული ქმედებები.

'ემპათიის" ვიზიტი პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში.

5. სამედიცინო დასკვნების გაცემა საჭიროების შემთხვევაში და დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზა.
6. იმ ექიმთა თუ სხვა პროფესიონალთა უფლებების დაცვა, რომელნიც მუშაობენ განსაკუთრებული "რისკის ზონებში": ციხეთა სისტემის ექიმები, სასამართლო – სამედიცნო ექსპერტები, სხვა ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწე ექიმები, სამხედრო კონფლიქტის ზონაში მომუშავე ექიმები და სხვა სამედიცინო პერსონალი(სწორედ, რომ ისინი წარომადგენენ "განსაკუთრებული რისკის ჯგუფს", სახელმწიფოსა და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ზეწოლისა და უფლებების შელახვის თვალსაზრისით).
7. სასწავლო – ტრენინგების პროგრამა: წამების მსხვერპლთა იდენტიფიკაციის, დოკუმენტირების, დიაგნოსტირების, ექსპერტიზის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის საკითხებზე; ციხეებში ჯანდაცვის საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე და საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის ნორმებზე; ასევე წამების აღკვეთისა და პრევენციის საკითხებზე.
8. სამეცნიერო – კვლევითი პროგრამა: მთავარი მიმართულება წამების შედეგები და მკურნალობა – რეაბილიტაცია.
9. ციხის რეფორმა, განსაკუთრებით კი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმა ციხეებში და ფსიქო – სოციალური რეაბილიტაციის დახმარების სისტემის შექმნა პატიმართათვის და ყოფილ პატიმართათვის.
10. სასამართლო სამედიცინო და განსაკუთრებით ფსიქიატრიული ექსპერტიზის რეფორმა, წამების დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით.
11. საკანონმდებლო ცვლილებები წამებისაგან დამცავი საერთაშორისო მექანიზმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპებია:

1. საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპების მკაცრი დაცვა:

- აბსოლუტურად ნებაყოფლობითი მკურნალობა, დიაგნოსტირება თუ სხვა სახის მომსახურება კლიენტთათვის
- აბსულოტური კონფიდენციალობა
- პაციენტის სურვილისამებრ – სრული ანონიმურობა
- აბსოლუტური ობიექტურობა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა

- პრინციპული შეურიგებლობა წამებისა თუ ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებისადმი და აქტიური პროტესტი ამგვარი დარღვევებისადმი.

2. წამების საწინააღმდეგო გაეროს კონვენცია და მისი დამატებითი პროტოკოლი "პატიმრობის ადგილებისა და სხვა დახურული დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნის შესახებ."
3. წამების საწინააღმდეგო ევროპული კონვენცია
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 5)
5. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრონციპები.
6. გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტები.
7. ევრო – საბჭოსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები: ციხეებში ჯანდცვასთან დაკავშირებით
8. CPT-ის – რეკომენდაციები.
9. გაეროს სამედიცინო ეთიკის პრიციპები "ჯანდაცვის მუშაკთა როლის შესახებ თავისუფლებააღკვეთილ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის საქმეში".
10. სამედიცინო ეთიკის ჰამბურგის დეკლარაცია - "რისკის ზონაში" მომუშავე ექიმების დაცვის შესახებ.
11. წამების სამედიცინო და იურიდიული დოკუმენტირების სტამბულის პროტოკოლის პრინციპები
12. და სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები

ჩვენი ისტორია

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია" შეიქმნა 1996 წელს. იგი არის ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაცია საქართველოში. 1996 წლიდან მოყოლებული მას განხორციელებული აქვს მრავალი პროექტი, რომელთაც საერთაშორისო აღიარება აქვთ მოპოვებული.

ცენტრის დამფუძნებლები არიან მაღალი კვალიფიკაციის ექიმი ფსიქიატრები და საზოგადოების სხვა წევრებიც, რომელთა ფასეულობათა სისტემას საბჭოთა პერიოდშიც დემოკრატიული ღირებულები განსაზღვრავდა.

მნიშვნელოვანი მიღწევები, გამოქვეყნებულია საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში და მოხსენებულია მნიშვნელოვან საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფორუმებზე; გამოვყოფთ: X, XI, XII ფსიქიატრიის მსოფლიო კონგრესებს (რომელიც ჩატარდა მადრიდი 1996

წ.; ჰამბურგი 1999 წ. იოკოჰამა 2002 წ., სადაც ცენტრის ხელმძღვანელი არჩეულ იქნა მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის სამეცნიერო სექციის "წამების ფსიქოლოგიური შედეგები და აღკვეთა" წევრად); ასევე ბერლინში 2003 წ. ტრავმული სტრესის VIII ევროპულ – კონფერენციაზე, სადაც ცენტრის ხელმძღვანელი თავმჯდომარეობდა ერთ – ერთ სხდომას (სესიას).

1998 წელს ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა პატიმართა და ყოფილ პატიმართა ფსიქო – სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა და კონცეფცია, რომელიც თანდათან იქნა რეალიზირებული და ამჟამად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ქ. თბილისის ქალთა კოლონიაში შექმნილია ფსიქო – სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, პირველი სამოქალაქო სტრუქტურა საქართველოს ციხეთა სისტემაში.

2002 წელს "ციხის საერთაშორისო რეფორმასთან" მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა კონცეპტუალური პროგრამა "წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის სისტემა საქართველოში", რომელიც თანდათან ხორციელდება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ცენტრი "ემპათია" არის პირველი წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი კავკასიის რეგიონში. ასევე პირველი ცენტრი "ყოფილი საბჭოთა კავშირის" სივრცეზე, რომელმაც შეძლო პროგრამის განხორციელება ციხეების სისტემაში და ასევე საქართველოში პირველად ჩართო თავის აქტივიტეტებში სამხედრო კონფლიქტის ზონა. შეიმუშავა და PRI – ICRC ტრენინგის ფარგლებში ჩაატარა ციხის ექიმების ტრენინგი სამედიცინო ეთიკის, გაეროს საერთაშორისო სტანდარტების, ევრო – საბჭოს რეკომენდაციების; ფსიქიკური ჯანმრთელობა ციხეებში; წამების მსხვერპლთა დიაგნოსტირებისა და რეაბილიტაციის თემაზე. 2000 წლიდან იგი შევიდა მსოფლიო წამების ცენტრთა ნუსხაში და 2002 წლიდან იქნა აკრედიტირებული IRCT – სთან.

ცენტრის სტრუქტურა:



ადმინისტრაცია: ცენტრის სამედიცინო დირექტორი,
ადმინისტრაციული დირექტორი; ფინანსური მენეჯერი.

ცენტრი „ემპათიას“ დამფუძნებელი პრეზიდენტი, სამედიცინო დირექტორი. მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის სექციის „წამების ფსიქოლოგიური შედეგები და აღკვეთა“ წევრი; ციხის საერთაშორისო რეფორმის წევრი.

ცენტრის დოკუმენტაცია

დიაგნოსტირებისათვის გამოიყენება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმატული აქტები: კერძოდ სტამბულის პროტოკოლი, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10-ე გადასინჯვა, ასევე სხვა საერთაშორისო სახელმძღვანელოები.

აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით ცენტრს შემუშავებული აქვს რამოდენიმე ანკეტა, კერძო :

- დევნილთა ფსიქიკური ჯანმრთელობის შემსწავლელი ანკეტა
- პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის შემსწავლელი ანკეტა
- წამების მსხვერპლის მონიტორინგის პროგრამა
- წამების მსხვერპლის სამედიცინო და ფსიქო – სოციალური მონიტორინიგისა და რეაბილიტაციის პროგრამა

<u>კლიენტის მხრიდან ანონიმურობის უფლების გამოყენების შემთხვევაში შექმნილია სპეციალური კოდირებული სისტემა.</u>

დიაგნოსტირებისათვის გამოყენებულია შემდეგი ძირითადი მეთოდები:

- კლინიკურ/სტრუქტურირებული ინტერვიუ
- საჭიროებისამებრ სხავდასხვა პარაკლინიკური - ინსტრუმენტალური/ლაბორატორიული კვლევის მეთოდები
- ფსიქოლოგიური კითხვარები და ტესტები (სუბიექტური და ობიექტური):
    - PTSD (Watson et all, 1991);
    - მისისიპის კითხვარი (სამოქალაქო ვარიანტი)
    - ჰარვარდის ტრავმის შეფასების კითხვარი (Mollica et all, 1992).
    - ბას – დარკის აგრესიის კითხვარი
    - ჰამილტონის დეპრესიის შეფასების კითხვარი
    - ბეკის დეპრესიის შეფასების კითხვარი
    - MMPI
    - შიხანისა და ტაილორის შფოთვის შეფასების კითხვარი
    - საჭიროების შემთხვევაში სხვა კითხვარები (მათ შორის ნეირო – ფსიქოლოგიური ტესტები).

ბავშვებთან და მოზარდებთა მუშაობისთვის:

- PTSD (Slight et all; 1991)
- "ხელის ტესტი"
- "ლუშერის ტესტი"

ცენტრი ლიცენზირებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ.

ცენტრს აქვს სპეციალური სამკურნალო - სარეაბილიტაციო სტანდარტები.

მკურნალობისა და რეაბილიტაციის შედეგების შეფასება ხდება განმეორებითი დინამიური კლინიკურ/ სტრუქტურირებული კვლევის, განმეორებითი ინსტრუმენტალურ/ლაბორატორიული კვლევების, რე-ტესტირების გამოყენებით.
ასევე შემუშავებულია "პაციენტის სუბიექტური ევალუაციის კითხვარი" და ცენტრის ანგარიშის ფორმა. დოკუმენტაცია ასევე მოიცავს ცენტრის მიერ შემუშავებული სხვადასხვა სამედიცინო ფორმების გამოყენებას.

მკურნალობა და რეაბილიტაცია

მკურნალობა და რეაბილიტაცია, ისევე, როგორც დიაგნოსტირება ხორციელდება სპეციალისტთა მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, კომპლექსური მიდგომით.

სერვისი მოიცავს როგორც ხანმოკლე რეაბილიტაცის (კრიზისული ინტერვენცია და დახმარება), ასევე ხანგრძლივი რეაბილიტაციის პროგრამასაც:

1. სამკურნალო-სამედიცინო ღონისძიებებს
    - სხვადასხვა ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას
    - ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ კვლევას
    - კლინიკურ დიაგნოსტიკას
    - საჭიროების შემთხვევაში სხვა უფრო სპეციალიზირებულ სამედიცინო ცენტრებში გაგზავნასა და მკურნალობის ორგანიზებას.
2. რეაბილიტაცია
    - სამედიცინო – ფარმაკოლოგიური მკურნალობა
    - სამკურნალო მასაჟი, მანუალური თერაპია
    - ფსიქოთერაპია (ინდივიდუალური, ჯგუფური, ოჯახური, წყვილების)
    - ფსიქოლოგიური კონსულტაცია და კონფლიქტების გადაწყვეტა
    - ფასილიტატორული საქმიანობა
    - არტ თერაპია
    - სოციალური თერაპია და გარემოში დახმარება, შემთხვევის კომპლექსური მართვა
    - იურიდიული დახმარება

ხანმოკლე კრიზისული დახმარებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტრავმის გადალახვის ფსიქოთერაპიული მეთოდები: ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდი; “Testimony” – ს მეთოდი; “Eye Movement” მეთოდი და სხვა, ასევე სოციოთერაპია მიმართული მიმდინარე პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაზე, ფსიქოლოგიური კონსულტაცია და მედიატორულ/ფასილიტატორული აქტივობა; ბიჰევიორულ – კოგნიტიური მიდგომა და სხვა.
ხანგრძლივი ფსიქოთერაპიისას ძირითადად გამოიყენება: ტრავმაზე ფოკუსირებული ფსიქო – ანალიზი, ანალიტიკური სფიქოთერაპია, ფსიქო-სინთეზის მეთოდოლოგია; ეგზისტენციალური ანალიზი;

პროფესიული შტატი: ცენტრის პრეზიდენტი, სამედიცინო დირექტორი: ექიმი ფსიქიატრი – ფსიქოთერაპევტი; საერთაშორისო ექსპერტი/მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის სექციის "წამების შედეგები და აღკვეთა" წევრი; "ციხის საერთაშორისო რეფორმის წევრი"; ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორი (მენეჯერი) ექიმი ფსიქიატრი; სხვადასხვა სპეციალისტი ექიმები: 4 შემთხვევის მმართველი: 2 ფსიქიატრი, 1 სასამართლო – სამედიცინო ექსპერტი – ფსიქიატრი, 1 თერაპევტი, 1 ფსიქოლოგი – ფსიქოთერაპევტი, 1 ფსიქოლოგი, 1 სოციალური მუშაკი, 1 არტ თერაპევტი, 1 ექთანი, 1 იურისტი, 1 მონაცემთა ბაზის სისტემური ადმინისტრატორი (მთლიან საშტატო ერთეულზე); ნევროლოგი, ორი სოციალრი მუშაკი, ბავშვთა ფსიქიატრი/ფსიქოთერაპევტი(ნახევარ საშტატო ერთეულზე); კონსულტანტები: ტრავმატოლოგი, ნარკოლოგი, ფსიქიატრი; ჯანდაცვის ორგანიზატორი, საჭიროებისამებრ სხვა.

'ემპათიის" შეხვედრა ჩეჩენ დევნილებთან თბილისში, 2003 წ. 26 ივნისი

ფინანსური მხარდაჭერა:

ცენტრს სხვადასხვა დროს ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ: ნიდერლანდების სამეფოს საელჩო მოსკოვში; UNV, PRI, OSCE/ODIHR, IRCT/Oak; 2003 – 2004 - 2005 წწ. ფინანსური მხარდაჭერა: UNVFVT; EU; IRCT/Oak; OPEN SOCIETY INSTITUTE.

საკონტაქტო მონაცემები:

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია"

ჭავჭავაძის გამზ. 62, 0162, თბილისი, საქართველო
Tel/Fax: + (995 32) 22 67 47
E – mail: centre@empathy.ge
www.empathy.ge

საკონტაქტო პირები:

მარიამ ჯიშკარიანი, ცენტრის პრეზიდენტი და სამედიცინო დირექტორი, პროექტების ავტორი, საერთაშორისო ექსპერტი
Mobile: +(995 99) 51 63 00
E – mail: mjishkariani@yahoo.com

გიორგი ბერულავა, ცენტრის გამგეობის წევრი, ცენტრის ადმინისტარციული დირექტორი
Mobile: +(995 99) 14 12 79
E –mail: g_berulava@yahoo.com

"ემპათიის„ თანამშრომლები

ემპათია – წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი (RCT/ EMPATHY, Georgia)

პროექტის დასახელება: წამების აღკვეთა და წამების მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენა საქართველოს ციხეებსა და კონფლიქტის ზონებში

ეს პროექტი დაფინანსებულია

ევროკავშირის მიერ;

ასევე

ღია საზოგადოების ინსტიტუტი

წინამდებარე პროექტი წარმოადგენს: ცენტრი "ემპათია"ს 2003-2004 წ.წ. საქმიანობის გაძლიერებასა და გაფართოებას, რომელიც წინა წელს მიმდინარეობდა შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით:

UNVFVT

Oak/IRCT

პროექტის მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე პროექტი მიზნად ისახავს წამების და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე ძალადობისა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას საქართველოში, რისთვისაც იგეგმება შემდგომი ღონისძიებები:

ა. წამების აღსაკვეთი, სადამსჯელო და სარეაბილიტაციო ზოგადეროვნული სისტემის მოდელის შექმნა და დანერგვა საქართველოს ციხეებში, წინასწარი პატიმრობის ცენტრებში და კონფლიქტის ზონებში;
ბ. მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და დანერგვა, რომელიც მოიცავს შემდეგს: პროფესიონალიზმის/კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის სფეროში, წამების მონიტორინგი, წამების მსხვერპლთა გამოვლენა, იდენტიფიცირება და რეაბილიტაცია, გაერო-ს სტანდარტების მინიმუმი საპატიმროებში ჯანდაცვის საკითხის თაობაზე, წამების მსხვერპლთა დაცვი, კერძოდ ციხეებში მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვის და პირადი უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების გაცნობა. პროგრამა ასევე გამიზნულია სამედიცინო სფეროს მუშაკებისათვის, რომლებიც მუშაობენ მაღალი რისკის დაწესებულებებში და საომარი კონფლიქტის ზონებში.
გ. "ემპათიის" პარტნიორი ორგანიზაციისათვს - კრიზისის ცენტრი/ნაბაკევის და დარჩელის ქალთა ასოციაცია (ქართულ-აფხაზური) დახმარების გაწევა. ასოციაცია მოქმედებს საომარი კონფლიქტის ზონაში – გალის რაიონში. დახმარება გულისხმობს საქმიანობის მასშტაბების გაფართოვებას, ადგილობრივი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, წამების აღსაკვეთი და მსხვერპლთა დამხმარე საქმიანობის გაძლიერებას;
დ. ეთნიკური უმცირესობების და ჩეჩენი ლტოლვილების მონაწილეობის მხარდაჭერა და გაძლიერება წამების აღკვეთის სფეროში, საქართველოში.

ძირითად მიზნობრივ ჯგუფებში შედიან წამების მსხვერპლები, განს. საპატიმროებში და წინასწარი პატიმრობის საკნებში მყოფი პირები, წამების მსხვერპლი - ყოფილი პატიმრები, წამების მსხვერპლი – IDP-ები, ჩეჩენი ლტოლვილები და მათი ოჯახის წევრები. აქციის ხანგრძლივობაა 12 თვე.

'ემპათია" და პარტნიორი ორგანიზაციის – გალის კრიზისული ცენტრის შტატი გალში ვიზიტისას.

მთავარი მიზნები:

ქვემოთ მოყვანილი მიზნები გაერთიანებულია სამი ძირითადი თემის ირგვლივ:

1. წამების აღსაკვეთი, სადამსჯელო და სარეაბილიტაციო ზოგადეროვნული სისტემის მოდელის შექმნა საქართველოში;
2. გამჭვირვალობის და ცივილური მეთოდების დანერგვა-გაძლიერება ყველა სახის საპატიმრო დაწესებულებებში – წინასწარი პატიმრობის საკნებში, პოლიციის განყოფილებების საკნებში, წამების შემთხვევების შემცირების და საბოლოო აღკვეთის პერსპექტივით;
3. პარტნიორი ორგანიზაციისათვის - კრიზისის ცენტრი/ნაბაკევის და დარჩელის ქალთა ასოციაცია (ქართულ-აფხაზური) – გალის რაიონში კრიზისის ცენტრის მშენებლობაში ხელშეწყობა, ჩეჩენ ლტოლვილ ქალთა მონაწილეობის დონის ამაღლება წამების აღსაკვეთ ღონისძიებებში, ტერორიზმის პრევენცია საქართველოში ახლად დაარსებული ჩეჩენ ქალთა კომიტეტის გაძლიერების გზით
4. ძალოვან სტრუქტურებსი მომუშავე სამედიცინო პერსონალის, გალის რაიონის მედიცინის მუსაკების და თავად ჩეჩენი ლტოლვილების განათლების დონის / კვალიფიკაციის ამაღლება წამების პრევენციის, წამების შედეგების და რეაბილიტაციის საკითხებში სპეციალური სასწავლო-სატრეინინგო პროგრამის მეშვეობით, რომელიც გამიზნულია "რისკის ზონაში" - მაგ. ციხეებში, საომარი კონფლიქტის ზონებში, მომუშავე სამედიცინო პერსონალისათვის.
   - სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის, არასამთავრობო დღის ცენტრის შექმნა წამების მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრებისათვის.
   - განსაკუთრებული მდგომარეობებზე რეაგირების პროგრამის დანერგვა-განხორციელება. პროგრამა ასევე მოიცავს მრავალდარგობრივი პროფესიონალური მობილური ჯგუფის შექმნს, რომელიც იმუშავებს კონფლიქტის ზონებში (გალის და პანკისის რაიონები), წინასწარი პატიმრობის ცენტრებში (თბილისი, ქუათისი, ზუგდიდი), არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის ცენტრები, ციხე-კოლონიებში (განს. ქალთა კოლონიებში და ცენტრალური ციხის საავადმყოფოში), და უზუნველყოფს მოკლევადიან სამედეცინო დახმარებას – მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრების იდენტიფიცირებას და მკურნალობას. ხსენებული პროგრამა

ასევე იმუშავებს უფასო ცხელი ხაზის შექმნაზე, რომლის მეშვეობით მოხდება უფასო, ანონიმური რჩევების და კონსულტაციების გაწევა წამების მსხვერპლთათვის.

- ციხეებში/კოლონიებში სამოქალაქო სარეაბილიტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, წამების მსხვერპლთა იდენტიფიცირების და სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით (პრევენციის და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის სისტემა საქართველოს სადამსჯელო სისტემაში)
- საზოგადოების ინფორმირება წამების მასშტაბებზე საქართველოში, წამების წინააღმდეგ მებრძოლთა ერთიანი ქსელის შექმნა, რომელშიც გაერთიენდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს მთავრობა, საზოგადოება და იმოქმედებენ წამების და სისასტიკის სხვა გამოვლინებების, არაჰუმანური და დეგრადირებული მოპყრობის და დასჯის მეთოდების წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის ფარგლებში. ხსენებული ქსელი მოაწყობს შეხვედრებს, რომლებზეც მონაწილეები რეგულარულად შეიკრიბებიან და იმსჯელებენ წამების მსხვერპლებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე იმუშავებენ წამების აკრძალვის ლობირებაზე საქართველოში, მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასა და თანამშრომლობაზე საერთო მიზნის მისაღწევად, ამასტან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ქსელი ასევე უზრუნველყოფს ჩეჩენ ქალთა ახლად დაარსებული კომიტეტის მხარდაჭერას.
- პროექტის მიმრების – "წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ "ემპათია"-ს საქმიანობის გაძლიერება და გაფართოვება, საქმიანობის ახალი მიმართულებით განვითარების გზით – მუშაობა კონფლიქტის ზონებში, პარტნიორი ორგანიზაციის – გალის კრიზისის ცენტრის საქმიანობის მხარდაჭერა, ჩეჩენ ლტოლვილთა ინფორმირება ადამიანის უფლებების სფეროში და მათი ჩართვა წამების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- წამებების საკითხის მონიტორინგი, ანალიზი და შემაჯამებელი მოხსენებების გადაცემა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის: CPT, IRCT, ეუთო, "საერთაშორისო ამინისტია", PRI, Human Rights Watch, ა.შ., მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), WPA, ა.შ.

მთავარი მიზნობრივი კატეგორიები:

წამების მსხვერპლები, მათი ოჯახის წევრები: პატიმრები, ყოფილი პატიმრები, რეპრესიის მსხვერპლები, ლტოლვილები ან თავშესაფარის მაძიებლები, იძულებით ადგილნაცვალი პირები, აფხაზეთში კონფლიქტის ზონაში მცხოვრები სამოქალაქო პირები - წამების და ძალადობის მსხვერპლები (450 ადამიანი წელიწადში).

პროექტის გეოგრაფია:

'ემპათიის" ვიზიტი პანკისში

საქართველო: თბილისი და რეგიონები (საპატიმროების ჩათვლით): ზუგდიდი, ქუთაისი, პანკისი; სამხედრო კონფლიქტის ზონა გალის რაიონში (აფხაზეთი/საქართველო)

ცენტრის საქმიანობის პროგრამა (2003-2005)



რეაბილიტაციის ცენტრი წამების მსხვერპლთათვის
პარტნიორი კრიზისის ცენტრი გალში (კონფ. ზონა)
კონტრაქტო-რები (ჯან.დაცვის. დაწ. იუსტიციის სამინისტრო)

პროექტის თანამშრომლები:

'ემპათიის" ვიზიტი გორის ახალგაზრდულ სახლში.

პროექტის დირექტორი

პროექტის მენეჯერი

ფინანსური მენეჯერი
მონაცემთა ბაზის მდივანი
მძღოლი

ფსიქოლოგი
ფსიქოთერაპევტი
არტ-თერაპევტი
მედ-და
ადვოკატი
სოც. მუშაკი (3)

შემთხვევის მმართველი (4) : სასამართლო ექსპერტ-ფსიქიატრი;
ფსიქიატრი (2),
თერაპევტი;

ნახევარ განაკვეთზე – ბავშვთა ფსიქიატრი/ ფსიქოთერაპევტი
ექიმი ნევროლოგი (1/2)
კონსულტანტები:
ქალთა კოლონიის მთავარი ექიმი
ექიმი-ტრავმატოლოგი
ექიმი-ნარკოლოგი

პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები:

გალის კრიზისის ცენტრი – დირეტორი (1/2)
ფსიქოლოგი (1/2)
ექიმი-გინეკოლოგი (1/2)
სოც. მუშაკი (1/2)

პარტნიორი ორგანიზაცია:

წინამდებარე პროექტის პარტნიორი ორგანიზაციას წარმოადგენს ნაბაკევის და დარჩელის ქალთა ასოციაცია, ქართულ-აფხაზური (ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსდა 2000 წ. აშშ. მშვიდობის ინსტიტუტის, **UNV**, ა.შ. დახმარებით. მათ 2003 წ. გახსნენს კრიზისული ცენტრი გალის რაიონში).

როგორც "ემპათიის" პარტნიორ ორგანიზაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა შემდეგზე:

- •გალის რაიონში (სამხედრო კონფლიქტის ზონა) მცხოვრები წამების მსხვერპლთა გამოვლენა და იდენტიფიცირება, ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის (ქართველები, აფხაზები, სხვა ეროვნებები)
- გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქო-სოციალური დახმარება
- მათი საჭიროებების / პრობლემების დადგენა, მათი კონსულტაციებზე წარგზავნა ცენტრში "ემპათია"
- ტრეინინგის ორგანიზება, რომელსაც ჩატარებენ "ემპათია"-ს ექსპერტები ადგილობრივი სპეციალისტებისათვის.

პატიმარ ქალთა არტთერაპიული ნამუშევრები

- ტრეინინგის მასალის გადაცემა აფხაზი მედიცინის მუშაკებისათვის.
- ადგილობრივი მედიკოსების მონაწილეობის გაძლიერება წამების აღკვეთის სფეროში.
- მათი ცოდნის გაფართოვება ადამიანის უფლებების და რეაბილიტაციის სფეროში.

კონტრაქტორი დაწესებულება:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სხვა პარტნიორი და კონტრაქტორი ორგანიზაციები:

ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებები.

საერთაშორისო ორგანიზაციები:

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო (IRCT)

ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI)

მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაცია, სექცია "წამების ფსიქოლოგიური შედეგები და მისი აღკვეთა"

ყოფილ საბჭოურ ქვეყნებში განხორციელებული სხვა პროგრამებისაგან განსხვავებით, წინამდებარე პროგრამა მოიცავს მონიტორინგს, დოკუმენტაციის შექმნას, მოხსენებების წარმოდგენას და რეაბილიტაციის საშუალებებს იმ მსხვერპლთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ციხეებში იმყოფებიან (წინასწარი პატიმრობის საკნები, ცენტრალური ციხის საავადმყოფო), ასევე აღდგენილი/ რეპატრირებული ციხეები სამხედრო კონფლიქტის ზონაში (გალი). იგი ასევე ითვალისწინებს ჩეჩენ ლტოლვილთა ორგანიზაციისათვის დახმარების აღმოჩენას, მათი ცოდნის ამაღლებას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, და ადგილობრივი არასამტავრობო ორგანიზაციების დაფინანსებასა და განვითარების ხელშეწყობას.

დაგვიკავშირდით:

საკონტაქტო პირები (დირექტორატი)

"ემპათია", საქართველო
მარიამ ჯიშკარიანი, დირექტორი
მის: ჭავწავაძის გამ. 62, მე-3 სადარბაზო
ბინა №12
მობ.: +(995 99) 51 63 00
თბილისი 0162, საქართველო
ელ-ფოსტა: mjishkariani@yahoo.com
ტელ/ფაქსი: +(995 32) 22 67 47
გიორგი ბერულავა, მენეჯერი
ელ-ფოსტა: centre@empathy.ge მობ. +(995 99) 14 12 79
ვებ-გვერდი:: www.empathy.ge
ელ-ფოსტა: g_berulava@yahoo.com

ფინანსური მხარდაჭერა:

ევროკავშირი

Open
Society
Institute

ღია საზოგადოების ინსტიტუტი

გამოცემულია ცენტრი „ემპათიის“ მიერ.
საავტორო უფლებები დაცულია.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 62, თბილისი 0161, საქართველო
Tel/Fax: +(995 32) 22 67 47;
E-mail: center@empathy.ge
www.empathy.ge